



*განხილულია*

*თჰუ სამართლის ფაკულტეტის 2017 წლის 11 თებერვლის N 2 სხდომაზე,*

*დამტკიცებულია*

*თჰუ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 14 თებერვლის N3 გადაწყვეტილებითა და*

*თჰუ რექტორის 2017 წლის 14 თებერვლის N28/01 ბრძანებით*

*მოდიფიცირებულია*

*თჰუ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 3 ივლისის N7 გადაწყვეტილებითა და*

*თჰუ რექტორის 2017 წლის 7 ივლისის N76/01 ბრძანებით*

*თჰუ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 11 დეკემბრის N11 გადაწყვეტილებითა და*

*თჰუ რექტორის 2017 წლის 14 დეკემბრის N163/01 ბრძანებით*

### საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამა

(მიმართულება - სამართალი (06), დარგი/სპეციალობა - საჯარო სამართალი (0605))

1. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: საჯარო სამართალი / Public Law
2. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი - აკადემიური, რეგულირებადი
3. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური - მაგისტრატურა
4. სწავლების ენა - ქართული
5. მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ძირითადი სპეციალობის მიხედვით):  
სამართლის მაგისტრი საჯარო სამართალში (Master of Law in Public Law)

6. პროგრამის მოცულობა კრედიტებით - **საძიებელი აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სავალდებულოა 120 კრედიტის მოპოვება**; ერთი კრედიტი - 25 საათია, ერთი სემესტრის ხანგრძლივობა - 20 კვირა, 1 სემესტრის მანძილზე სტუდენტმა უნდა მოიპოვოს საშუალოდ 30 კრედიტი (750 საათი); **პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობაა - 2 წელი, 4 სემესტრი** („უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების შესაბამისად, პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, სტუდენტის წლიური დატვირთვა შეიძლება აღემატებოდეს 60 კრედიტს, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა, ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები)

7. პროგრამის ხელმძღვანელი: **პროფესორი კახი ყურაშვილი**

**8. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

ა) საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც:

ა.ა) ჩაბარებული აქვს საერთო სამაგისტრო გამოცდა;

ა.ბ) ფლობს უცხო ენას (ინგლისური / გერმანული) B2 (ALTE-ს მიხედვით) დონეზე (დასტურდება საუნივერსიტეტო მისაღები გამოცდის ჩაბარებით ან საერთაშორისო ვალიდური სერტიფიკატით);

ა.გ) ჩააბარებს საუნივერსიტეტო მისაღებ გამოცდას სპეციალობაში (საჯარო სამართალი) და საჭიროების შემთხვევაში (ვალიდური სერტიფიკატის არარსებობის შემთხვევაში) - უცხო ენაში ;

ბ) საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვება, საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე, შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და შემთხვევებში;

გ) საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლება აქვთ საქართველოს კანონმდებლობისა და საუნივერსიტეტო მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში მობილობის წესით გადმოსულ სტუდენტებს.

საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ ამ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

**შენიშვნა:** საუნივერსიტეტო მისაღები გამოცდების ჩატარების წესი, ვადები და საგამოცდო საკითხები, ასევე ცოდნის შესაფერის კრიტერიუმები და მინიმალური

კომპეტენციის ზღვრები განთავსებულია თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: [www.thu.edu.ge](http://www.thu.edu.ge)

### 9. პროგრამის მიზანი

საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამის მიზანი გამომდინარეობს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მისიიდან და გულისხმობს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადებას საჯარო სამართლის სპეციალობით (დარგში), პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევისათვის საჭირო დარგობრივი კომპეტენციების განვითარებას.

სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტის ინტელექტუალური და შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა; საჯარო სამართლის სფეროს უახლესი მიღწევების გაცნობა და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარის განვითარება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს VII დონით გათვალისწინებული კომპეტენციების შესაბამისად; სწავლებისა და სწავლის ტრადიციული და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, საქართველოს ეროვნულ შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი, უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხურის დონის მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი და დამოუკიდებელი კვლევის უნარის მქონე კადრების მომზადება, რომელიც აღჭურვილი იქნება ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი სივრცის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციით, როგორც პრაქტიკული საქმიანობისათვის, ისე განათლების შემდგომ საფეხურზე (დოქტორანტურა) სწავლის გასაგრძელებლად.

საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამა სტუდენტს ამზადებს საჯარო სამართლის სპეციალობით სხვადასხვა იურიდიულ პროფესიებში შესასვლელად. ცალკეული პროფესიისთვის შესაძლებელია კანონმდებლობით ან შესაბამისი პროფესიული გაერთიანების მიერ გათვალისწინებული იყოს პროფესიის დაუფლებისთვის დამატებითი წინაპირობები.

თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების კომბინაციაზე დამყარებული ინტერაქტიული სწავლება ემსახურება სტუდენტის დამოუკიდებელი პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, რაც ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების უზენაესობის პრინციპის შესაბამისად კანონის განმარტებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებისა და ღირებულებების გამომუშავებას ისახავს მიზნად.

ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად, საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში ჩართულნი არიან დაინტერესებული მხარეები - აკადემიური პერსონალი, რომელთა ნაწილი ასევე

პრაქტიკულ პროფესიულ საქმიანობასაც ეწევა და დამსაქმებელიცაა (ადვოკატები, მოსამართლეები), სტუდენტები, სხვა დამსაქმებლები, სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე კურსდამთავრებულები.

#### 10. დასაქმების სფერო და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა, იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის ფლობა. ამასთან, ცალკეული თანამდებობის დასაკავებლად შეიძლება გათვალისწინებულ იქნას დამატებითი წინაპირობები (სახელმწიფო სასერტიფიკატო გამოცდის ჩაბარება).

კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება დასაქმდეს:

- სახელმწიფო დაწესებულებებში,
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში,
- საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში,
- საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობებსა ან არასამთავრობო ორგანიზაციებში,
- კერძო სექტორში.

ამავე დროს, საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს სამართლის მიმართულების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევარის მომზადებაზე.

#### 11. სწავლის შედეგები: ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები

საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინების წარმატებით ათვისებისა და შესაბამისი ოდენობის კრედიტის მოპოვების შემდეგ, სტუდენტს ენიჭება სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი, რაც ადასტურებს რომ კურსდამთავრებულს გააჩნია სათანადო ზოგადი (ანალიტიკური აზროვნება, პრობლემის დასმა და გადაჭრა, კვლევითი უნარების დახვეწა-განვითარება, საკუთარი ინტერესების ფორმირების, შეფასებისა და განვითარების მართვა, მეცნიერულ დონეზე კომუნიკაციის უნარის ფორმირება და სხვ.) და დარგობრივი კომპეტენციები სპეციალობაში:

##### - ცოდნა და გაცნობიერება

საჯარო სამართლის ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც სტუდენტს აძლევს დასმული კომპლექსური პრობლემის გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებისა და ფორმირების საშუალებას; გაცნობიერებული აქვს სამართლებრივი საკითხების გადაჭრის გზები;

**- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

სწრაფად განვითარებად საზოგადოებაში შეუძლია სამართლებრივი პრობლემების კომპლექსური შეფასება და პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების ძიება, შემუშავება, საკანონმდებლო სიახლეებისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, თანამედროვე, მათ შორის, განმარტების მეთოდების გამოყენებით;

**- დასკვნის უნარი**

საკანონმდებლო ნოვაციებისა და უახლესი მეცნიერული მიდგომების პირობებში ცვლილებების ანალიზი, საკანონმდებლო ხარვეზებისა და კოლიზიების, არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის კრიტიკული ანალიზი, მათ საფუძველზე, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;

**- კომუნიკაციის უნარი**

აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გამოყენებით, აკადემიური და პროფესიული საზოგადოებისათვის წერილობითი და ზეპირი ფორმით მშობლიურ და უცხო (ინგლისური / გერმანული) ენაზე საკუთარი სამართლებრივი დასკვნებისა და არგუმენტების გადაცემის უნარი;

**- სწავლის უნარი**

სწავლის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და წარმართვისას, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებით, თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზის, ასევე, სამართლის სფეროს უახლესი მეთოდების, პირველადი ნორმატიული წყაროების, სამეცნიერო სტატიებისა და სასამართლო პრაქტიკის განზოგადებული ანალიზის საფუძველზე საკუთარი ცოდნის გაღრმავების უნარი;

**- ღირებულებები**

ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასების უნარი, მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად, არსებული სამართლებრივი ღირებულებების ანალიზის უნარი, ამის საფუძველზე და საჭიროების შემთხვევაში, ახალი ღირებულებების შემუშავებასა და დამკვიდრებაში მონაწილეობის მიღება.

**12. სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები**

საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამით სწავლების პროცესში, სწავლების შედეგების მისაღწევად, სხვადასხვა სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოყენებულია სწავლისა და სწავლების სხვადასხვა მეთოდები ან ხდება მათი კომბინირებული გამოყენება.

საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამის რეალიზაციისას სწავლა-სწავლების შედეგების მისაღწევად ადეკვატური მეთოდების შერჩევა ხორცილდება დინამიურად - სწავლის შედეგების, სასწავლო დისციპლინის სპეციფიკისა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის აკადემიური თავისუფლების პრინციპის გათვალისწინებით. სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. ლექტორი უფლებამოსილია კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე დაეყრდნოს სწავლების ერთ ან რამდენიმე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მეთოდს, დანერგოს სწავლების ახალი მეთოდები, რაც სასწავლო დისციპლინის სილაბუსში უნდა აისახოს.

ზოგადად, რეკომენდირებულია კლასიკური **ლექციის** ფორმატში მაღალი ინტერაქტიულობის მქონე მეთოდების ინტეგრაცია. ლექცია, შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობენ ლექტორი და სტუდენტი. ლექციის ძირითადი მიზანია შესასწავლი თემის არსის გაგება, რაც გულისხმობს მიწოდებული მასალის შემოქმედებით და აქტიურ (კრიტიკულ / პრობლემურ) აღქმას.

ცალკეული კომპეტენციის გამომუშავებისას შესაძლებელია **სამუშაო ჯგუფში** მუშაობა, სადაც სტუდენტს საშუალება ეძლევა ლექციაზე შესწავლილ თემებზე ცოდნის გაღრმავების საშუალება (მაგ: ლექტორის მითითებით სტუდენტი ან სტუდენტთა ჯგუფი მოიძიებს და ამუშავებს დამატებით ინფორმაციას, ამზადებს პრეზენტაციას, წერს ესეს და სხვ. მოისმინება მოხსენებები, იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები).

საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული **პრაქტიკული კომპონენტის** განხორციელებისას გამოიყენება კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტისას თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების უნარის ფორმირებაზე ორიენტირებული მეთოდები, რაც თავის მხრივ თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევის გამომუშავების საფუძველია. სავალდებულო პროფესიული პრაქტიკა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს რეალურ ცხოვრებაში გამოსცადოს აკადემიურ გარემოში შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა და უნარები). პროფესიული პრაქტიკა არის განაცხადი სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს ან/და რისი დემონსტრირება უნდა შეეძლოს სწავლის დასრულების შემდგომ. პროფესიული კომპეტენციები, რომლის მიღწევაცაა დაგეგმილი პროფესიული პრაქტიკის ფარგლებში ზოგადად არის ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების დინამიური კომბინაცია.

პრაქტიკული კომპონენტის შესრულებაში ჩართულია, როგორც სამართლის ფაკულტეტის იურიდიული კლინიკა, ისე სხვადასხვა ორგანიზაციები და დაწესებულებები.

**სამეცნიერო კვლევის კომპონენტის** შესრულების საბოლოო პროდუქტს წარმოადგენს სტუდენტის საკვალიფიკაციო ნაშრომი (სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი), რომელშიც აისახება კურსდამთავრებულის სამეცნიერო-კვლევითი ან/და სხვა სახის სამუშაოს ინოვაციურ დონეზე ჩატარების უნარი. სტუდენტი ფლობს კვლევის საგანთან დაკავშირებულ ფუნდამენტურ სამეცნიერო ინფორმაციას, განვითარებული აქვს სამეცნიერო ინფორმაციის მიღების, დამუშავების, შენახვისა და გამოყენების უნარ-ჩვევები. წარმოდგენილი საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვისას სტუდენტი ავლენს მის მიერ მიღებული კვლევის შედეგების არგუმენტირებული გადმოცემისა და დისკუსიაში მონაწილეობის უნარს.

**დამოუკიდებელი მუშაობა** წარმოადგენს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების წარმატებით ათვისებისათვის დახარჯული სამუშაო დროის (შრომის) იმ ოდენობას, რაც ნორმატიული წყაროების, სამეცნიერო ლიტერატურისა და სასამართლო პრაქტიკის გაცნობისა და შესწავლის, ჯგუფში მუშაობის, შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადებისათვის იხარჯება.

სწავლების შედეგების მიღწევისათვის გამოიყენება შემდეგი მეთოდები:

- **ვერბალური (ზეპირსიტყვიერი) მეთოდი;**
- **წერიტი მუშაობის მეთოდი;**
- **წიგნის დამუშავების მეთოდი;**
- **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი, რომელიც მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. ეს მეთოდი უნვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს;
- **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლების დროს სტუდენტები იყოფიან ჯგუფებად და მათ ეძლევათ სასწავლო დავალებები. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში;
- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** – აღნიშნული სასწავლო მეთოდი ახალი ცოდნის მიღებისა და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად პრობლემის დასმას იყენებს;

- **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** – სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში; თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.
- **ევრისტიკული მეთოდი** – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება;
- **შემთხვევის ანალიზი (Case study)** – პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს;
- **გონებრივი იერიში (Brain storming)** – ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგადად რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:
  - ა) პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;
  - ბ) დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
  - გ) გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;
  - დ) კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
  - ე) შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით;
  - ვ) უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა;
- **როლური და სიტუაციური თამაშები** – სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს ამ თუ იმ საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში; ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს;
- **დემონსტრირების/პრეზენტირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. დემონსტრირების/პრეზენტაციის მეთოდით მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად; ხშირად მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდება აუდიტორიას. ამავე დროს, იგი ვიზუალურად



წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს; მასალის/თემის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც სტუდენტის, ისე პროფესორის მიერ. სწავლებისას, ეს მეთოდი თვალსაჩინოს ხდის სასწავლო მასალის აღქმის საფეხურებს, აკონკრეტებს იმ სამუშაოს, რომლის შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად;

- **ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი:**

ა) სწავლების **ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადმოცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებულისკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ;

ბ) სწავლების **დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ;

გ) სასწავლო პროცესში **ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, რითაც მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება;

დ) **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას;

- **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში;

- **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია;

- **კაზუსის ამოხსნის მეთოდი** - აბსტრაქტული ნორმების კონკრეტულ ფაქტებთან სტრუქტურირებული მისადაგების მეთოდი, პრაქტიკულ შემთხვევებზე სამართლებრივი ნორმების მორგების მეთოდოლოგიას წარმოადგენს. მისი დანიშნულება კონკრეტული და მიზანმიმართულია. კაზუსის ამოხსნის მეთოდი სტუდენტს სთხოვს კონკრეტული შემთხვევის ინტენსიურ დამუშავებას/სამართლებრივ შეფასებას;

- უცხო ენების სწავლების მეთოდები (სიტუაციური სწავლება (Situational Language Teaching (Oral Approach), პირდაპირი მეთოდი (The Direct Method), თანმიმდევრული მეთოდი (The series method), ჩუმი მეთოდი (Silent Way), ბუნებრივი მიდგომა (Natural Approach), კომუნიკაციური მეთოდი (Communicative Language Teaching), გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი (The Grammar-Translation Method));

- **და სხვ.**

### 13. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამა იყენებს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით განსაზღვრულ და მის საფუძველზე დამტკიცებულ თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშებისა და სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების წესებს, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია ([www.thu.edu.ge](http://www.thu.edu.ge)) და ამ პროგრამის განუყოფელი ნაწილია.

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების სისტემით სტუდენტის ცოდნა ფასდება მაქსიმუმ 100 ქულის ფარგლებში (საბოლოო შეფასება - მაქსიმუმ 100 ქულა); სასწავლო კრედიტის მოსაპოვებლად საჭირო მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს - 51 ქულა. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება (გამონაკლისია - სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის შეფასება). სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს:

- ა) შუალედურ შეფასებებს;
- ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

საბოლოო შეფასების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში (FX) „ვერ ჩააბარა“ შეფასების (41-50%) მიღების შემთხვევაში; დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი არანაკლებ 5 დღეა.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება შემდეგი კომპონენტებით:

1. **სასწავლო აქტივობები (აქტიურობა) - მაქსიმუმ 30 ქულა** (სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა, საკონტროლო სამუშაო, გუნდური ან პერსონალური პრეზენტაცია, წერიტი და ზეპირი საშინაო დავალებები, ესეს შესრულება, რეფერატის ან სხვა სახის სამუშაოს შესრულება, სილაბუსის მიხედვით);
2. **შუალედური გამოცდა - მაქსიმუმ 30 ქულა** (ტარდება წერიტი ფორმით, სემესტრის დაწყებიდან VIII კვირას; შეფასების კომპონენტი, მეთოდი და კრიტერიუმი ასახულია სილაბუსში და ადეკვატურია ამავე სილაბუსში განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებისათვის);

**3. დასკვნითი გამოცდა - მაქსიმუმ 40 ქულა:** კომბინირებულია (წერიტი/ზეპირი) ან წერიტი; შეფასების კომპონენტი, მეთოდი და კრიტერიუმი ასახულია სილაბუსში და ადეკვატურია ამავე სილაბუსში განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებისათვის):

კომბინირებული დასკვნითი გამოცდის შემთხვევაში:

ა) **ზეპირი კომპონენტი** (მაქსიმუმ 20 ქულა);

ბ) **წერიტი კომპონენტი** (მინიმუმ 20 ქულა).

შუალედური შეფასებების კომპონენტებში ჯამურად, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს - **11 ქულას**; დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის **50%-ს** ანუ **20 ქულას 40 ქულიდან**.

**შეფასების სისტემა უშვებს:**

ა) **ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

ა.ა) **(A) ფრიადი** - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) **(B) ძალიან კარგი** - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) **(C) კარგი** - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) **(D) დამაკმაყოფილებელი** - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) **(E) საკმარისი** - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) **ორი სახის უარყოფით შეფასებას:**

ბ.ა) **(FX) ვერ ჩააბარა** - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) **(F) ჩაიჭრა** - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

**შენიშვნა:** სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის და პროფესიული პრაქტიკის შესრულებისა და შეფასების კომპონენტები ასახულია თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშებისა და სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების წესების“ N2 (სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის შესრულების ინსტრუქცია) და N3 (პროფესიული

(სასწავლო/საწარმოო) პრაქტიკის შესრულების ინსტრუქცია) დანართებით (დამტკიცებულია თჰუ რექტორის 2017 წლის 18 იანვრის N10/01 ბრძანებით).

#### 14. პროგრამის მოცულობა კრედიტებით (სასწავლო გეგმის ზოგადი დახასიათება):

საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამა (შემოთავაზებულია 175 ECTS კრედიტი) შედგება თეორიული (მოსაპოვებელია 100 ECTS კრედიტი) და პრაქტიკული (მოსაპოვებელია 20 ECTS კრედიტი) კომპონენტებისაგან. თეორიული კომპონენტი მოიცავს სამეცნიერო კვლევის კომპონენტსაც (მოსაპოვებელია 40 ECTS კრედიტი, აქედან 10 ECTS კრედიტი - სამეცნიერო წერის კულტურასა და კვლევის მეთოდებში, ხოლო 30 ECTS კრედიტი - სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის შესრულებასა და დაცვაში). სამეცნიერო კვლევის კომპონენტისა და პრაქტიკული კომპონენტის დაძლევა სავალდებულოა. ასევე სავალდებულოა ECTS კრედიტების მოპოვება იურიდიულ უცხო ენასა (ინგლისური ან გერმანული) (5 ECTS კრედიტი) და პროფესიულ ეთიკაში (5 ECTS კრედიტი). სავალდებულოდ მოსაპოვებელი ECTS კრედიტების ჯამია - 70 ECTS კრედიტი. სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად ჯამში საჭიროა 120 ECTS კრედიტის მოპოვება. 50 ECTS კრედიტის მოპოვება ხდება სტუდენტის თავისუფალი არჩევანის საფუძველზე ორ სასწავლო მოდულად (კონსტიტუციური სამართალი (50 ECTS)/ ადმინისტრაციული სამართალი (50 ECTS)) შემოთავაზებული 100 ECTS კრედიტის მოცულობის არჩევითი სასწავლო დისციპლინების დაძლევის გზით. 5 ECTS კრედიტის მოპოვება შესაძლებელია არჩევით სასწავლო დისციპლინად შემოთავაზებული კურსის: „საქართველოსა და ევროპის კავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“ დაძლევის გზითაც.

საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამის შინაარსი სტუდენტს საშუალებას აძლევს, თავადვე ჩამოაყალიბოს ინდივიდუალური პროფილი: აქცენტი გააკეთოს კონსტიტუციურ ან ადმინისტრაციულ სამართალზე, ან შეარჩიოს სასწავლო კომპონენტები ორივე სასწავლო მოდულიდან სავარაუდო დასაქმების სფეროსათვის ყველაზე საჭირო კომპეტენციების გამომუშავების მიზნით.

საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან მობილობის წესით გადმოსულ სტუდენტს, შეიძლება თავისუფალი კრედიტებად, უღიარდეს სხვა უმაღლესი სასწავლებლის მიერ სამართლის მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე შეთავაზებული საჯარო სამართლის სპეციალობის ისეთ სასწავლო დისციპლინებში მოპოვებული ECTS კრედიტები, რომლებიც არ ისწავლება ამ პროგრამით, მაგრამ არა უმეტეს 50 ECTS კრედიტისა.

#### 15. პროგრამის განხორციელების მატერიალურ-ტექნიკური რესურსები

საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამის რეალიზაციას უზრუნველყოფს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი,

ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, საჭიროების შემთხვევაში აფორმებს ხელშეკრულებებს პრაქტიკოს სპეციალისტთა ან/და დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სხვა უმაღლეს დაწესებულებაში დასაქმებული პირების პროგრამის განხორციელებაში ჩასართავად მოწვევის თაობაზე; პროგრამის რეალიზაციისათვის გამოიყენება თჰუ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ, თჰუ ბიბლიოთეკა, კომპიუტერებით, პროექტორებითა და საპროექციო ეკრანებით, ასევე სხვა სასწავლო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, საპროფეორო, სამართლის ფაკულტეტის იურიდიული კლინიკა, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საინფორმაციო საძიებო სისტემები; საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია აუცილებელი სასწავლო-მეთოდური მასალებით: შესაბამისი საბიბლიოთეკო ფონდებით (წიგნადი, ციფრული): თანამედროვე სახელმძღვანელოებით, ინტერნეტ-რესურსებითა და სხვა საინფორმაციო მასალებით. ყველა სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო ფონდები, მონაცემთა ბაზები (OPEN BIBLIO), უზრუნველყოფილია საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში წვდომა (EBSCOHost – <http://search.epnet.com> (ელექტრონული ჟურნალები და წიგნები). ასევე უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულია საერთაშორისო საბიბლიოთეკო ლინკები, საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბმულები: <http://fs.gallup.unm.edu>, <http://www.questia.com/library>, <http://www.gutenberg.org/catalog/>, <http://library.court.ge> (სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა), საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლინკი – <http://www.nplg.gov.ge/geo/dlibrary2>; პროგრამის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტისა ან სამართლის ფაკულტეტის მიერ სხვა, მათ შორის სასწავლო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებებისა და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების საფუძველზე, შესაძლებელია ამ უკანასკნელთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზების გამოყენებაც.

#### 16. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამის განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფა ხდება თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მიღებული შემოსავლების, დამფუძნებელთა მიერ განხორციელებული ინვესტიციებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული და ნებადართული სხვა სახსრების გამოყენებით. პროგრამის სარეალიზაციოდ მოზიდული ზემოაღნიშნული ფინანსები გამოიყენება აკადემიური პერსონალის სახელფასო უზრუნველყოფის, სტუდენტთა წახალისებისა და მოტივაციის, საბიბლიოთეკო ფონდის განახლების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად და სხვა სასწავლო-საგანმანათლებლო მიზნებისათვის.

#### 17. პროგრამის ინტერნაციონალიზაცია

საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიზნით, უნივერსიტეტი, სამართლის ფაკულტეტის შუამდგომლობის საფუძველზე უფლებამოსილია მოიწვიოს უცხო ქვეყნის ან/და უცხოენოვანი პერსონალი პროგრამით განსაზღვრული ცალკეული სასწავლო დისციპლინების უცხო ენაზე წაყვანის მიზნით; პროგრამის რეალიზაციაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი სისტემატურად დებულობს მონაწილეობას პროფესიულ საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში, რაც ასევე ამლიერებს პროგრამის საერთაშორისო ასპექტს.

### 18. პროგრამის ანალოგები

საჯარო სამართლის სპეციალობით სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოპოვება შესაძლებელია საქართველოში ავტორიზებული უნივერსიტეტების მიერ შეთავაზებული სამართლის აკრედიტებული სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტში, კავკასიის უნივერსიტეტში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში, სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტში და სხვ., ასევე ევროპის, გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიის, აშშ-ის უნივერსიტეტების მიერ (ამერიკული უნივერსიტეტი, ტილბურგის უნივერსიტეტი, ცენტრალურ ევროპული უნივერსიტეტი, საერთაშორისო პროგრამების ლონდონის უნივერსიტეტი, როტერდამის ერასმუსის უნივერსიტეტი, ირლანდიის ნაციონალური უნივერსიტეტი და სხვ.) შემოთავაზებულ სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში, რომელთა სახელწოდებები შეიძლება იყოს: Public Law, Public Law & Administration, Administrative & Government Law, Constitutional Law, Comparative Constitutional Law, Human Rights Law, Law & Government, Laws and Public Administration, International and European Public Law, Environmental Law, Health Law and Ethics და სხვ.

### 19. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართული ორგანიზაციები და დაწესებულებები

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
- თბილისის სააპელაციო სასამართლო
- თბილისის საქალაქო სასამართლო
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიცია
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიურო
- სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
- ააიპ კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი

- საადვოკატო ბიურო - OK&CG
- გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო
- ინოვაციების განვითარების ფონდი
- ააიპ სოციალურ კულტურული განვითარების ცენტრი
- შპს ადვოკო კონსალტინგი
- ააიპ კონსტიტუციურ-სამართლებრივ საკითხთა კვლევის ჯგუფი
- თბილისის მერიის ააიპ სამართლებრივი დახმარებისა და საზოგადოებრივი ჩართულობის მუნიციპალური ცენტრი - „ჩემი ადვოკატი“
- კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა
- ქ. ბათუმის მერია

მოლაპარაკების ეტაპზეა:

- საქართველოს უზენაესი სასამართლო;
- სსიპ საჯარო სამსახურის ბიურო;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახური;
- ცენტრალური საარჩევნო კომისია;
- დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა;

**20. პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო გეგმა და სწავლის შედეგების რუკა** - იხ. დანართი N1, N2, N3;

**21. პროგრამის ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა** - იხ. დანართი N4;

**22. პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე (CV) და საკონტაქტო ინფორმაცია** - იხ. დანართი N5;

**23. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინების სილაბუსები** - იხ. დანართი N6 (27 სილაბუსი).